ქალაქ ქობულეთში, დ. აღმაშენებლის N279-ში მდებარე (ს/კ 20.42.01.258), ცენტრალური პარკის მოდერნიზაციის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის საკონკურსო დოკუმენტაცია

(CPV კოდი - 71400000 - მომსახურება ურბანული დაგეგმარებისა და ლანდშაფტური არქიტექტურის სფეროში)

წინამდებარე საკონკურსო დოკუმენტაცია შედგენილია „სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ საქართველოს კანონის 10² მუხლის და „კონკურსის მეშვეობით საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 22 მაისის N7 ბრძანების შესაბამისად.

2021 წელი

ქ. ქობულეთი

სარჩევი

1. ინსტრუქცია კონკურსში მონაწილეთათვის----------3

2. ტექნიკური დოკუმენტაცია----------5

3. ტექნიკური დავალება ----------8

4. სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების პროექტი----------12

ინსტრუქცია კონკურსში მონაწილეთათვის

1.1 კონკურსით შესყიდვა ტარდება სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის (შემდგომში - სისტემა) მეშვეობით.

1.2 სისტემაში შესყიდვის პროცედურები ხორციელდება საქართველოს კანონის „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ და ,,კონკურსის მეშვეობით საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ” სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავჯდომარის 2015 წლის 22 მაისის N7 ბრძანების შესაბამისად.

1.3 კონკურსთან დაკავშირებული ყველა დოკუმენტი ან/და ინფორმაცია წარმოდგენილ უნდა იქნას ქართულ ენაზე. დოკუმენტების ან/და ინფორმაციის უცხოურ ენაზე წარმოდგენის შემთხვევაში, მათ უნდა დაერთოს ნოტარიულად დამოწმებული ქართული თარგმანი.

1.4 პრეტენდენტი ვალდებულია სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში წარმოსადგენ მის მიერ შექმნილ დოკუმენტებზე ან/და ინფორმაციაზე (გარდა excel-ის ფორმატის ფაილისა) შეასრულოს კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა ან/და ეს დოკუმენტ(ებ)ი დაამოწმოს კვალიფიციური ელექტრონული შტამპით ,,ელექტრონული დოკუმენტისა და ელექტრონული სანდო მომსახურების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად. პრეტენდენტს შეუძლია იხელმძღვანელოს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ინსტრუქციის შესაბამისად. (http://procurement.gov.ge/getattachment/News/news-(53)/eSignature_11-Jan-19.pdf.aspx).

1.5 ხელშეკრულების ფორმა და პირობები მოცემულია საკონკურსო დოკუმენტაციაში, რომელიც ხელშეკრულების დადების მომენტისათვის დაზუსტდება საკონკურსო წინადადების შესაბამისად.

1.6 საკონკურსო წინადადების წარდგენა შესაძლებელია მხოლოდ სისტემის მეშვეობით, აფიდავიტის პირობებზე დათანხმების, ელექტრონული გარანტიის წარდგენისა და საფასურის გადახდის შემდეგ.

1.7 ტექნიკური დოკუმენტაციის სისტემაში ატვირთვის შემდეგ, პრეტენდენტმა სისტემის შესაბამის ველში უნდა მიუთითოს საკონკურსო წინადადების ფასი დღგ–ის გარეშე, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულებას.

1.8 დაუშვებელია ტექნიკურ დოკუმენტაციაში საკონკურსო წინადადების ფასის მითითება, პრეტენდენტი საკონკურსო წინადადების ფასს უთითებს მხოლოდ სისტემის შესაბამის ველში. პრეტენდენტი, რომელიც ტექნიკურ დოკუმენტაციაში მიუთითებს საკონკურსო წინადადების ფასს ექვემდებარება დისკვალიფიკაციას.

1.9 პრეტენდენტი წინადადების ფასში არ ითვალისწინებს დღგ–ს, მიუხედავად იმისა არის თუ არა იგი დღგ–ს გადამხდელი საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. იმ შემთხვევაში, თუ გამარჯვებული პრეტენდენტი ხელშეკრულების დადების მომენტისათვის, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, არის დღგ–ს გადამხდელი, ხელშეკრულების ღირებულებაში გათვალისწინებული იქნება საკონკურსო წინადადების ფასის შესაბამისი დღგ–ის ოდენობა.

1.10 საკონკურსო წინადადების ფასის მითითების შემდეგ, პრეტენდენტს უფლება არ აქვს, შეცვალოს წარმოდგენილი ტექნიკური დოკუმენტაცია და საკონკურსო წინადადების ფასი.

1.11 კონკურსანტს უფლება აქვს წარმოადგინოს მხოლოდ ერთი საკონკურსო წინადადება.

1.12 ალტერნატიული წინადადებები არ განიხილება.

1.13 ხელშეკრულების დასადებად მოწვევამდე, პრეტენდენტს უფლება აქვს, უარი თქვას საკონკურსო წინადადებაზე.

1.14 საუკეთესო საკონკურსო წინადადებისა და გამარჯვებულის გამოვლენისათვის კონკურსში გამოიყენება საკონკურსო პირობებით დადგენილი კრიტერიუმები და მათი ხვედრითი წონები.

1.15 კონკურსის ჩატარების შესახებ განცხადებით ან/და საკონკურსო დოკუმენტაციით მოთხოვნილი ინფორმაციის არასრულად წარმოდგენის ან ისეთი საკონკურსო წინადადების წარმოდგენის შემთხვევაში, რომელიც არ პასუხობს კონკურსის ჩატარების შესახებ განცხადების ან/და საკონკურსო დოკუმენტაციის ყველა მოთხოვნას, გამოიწვევს კონკურსში მონაწილე პრეტენდენტის დისკვალიფიკაციას.

1.16 კონკურსისთვის კონკურსის სტატუსის „გამოცხადებულია“ მინიჭებიდან კონკურსის სტატუსის „წინადადებების მიღება დაწყებულია“ მინიჭებამდე, სისტემაში „მიმწოდებლად“ რეგისტრირებულ ნებისმიერ მომხმარებელს უფლება აქვს, საკონკურსო კომისიას, სისტემაში არსებული „კითხვაპასუხის“ მოდულის მეშვეობით, მოსთხოვოს საკონკურსო პირობების კონკრეტული ჩანაწერის განმარტება. საკონკურსო კომისია ვალდებულია, კითხვის დასმიდან არაუგვიანეს მომდევნო სამუშაო დღისა, „კითხვა-პასუხის“ მოდულის მეშვეობით, გააკეთოს შესაბამისი განმარტება, რითაც შესაძლებელია იხელმძღვანელოს ნებისმიერმა დაინტერესებულმა პირმა.

1.17 შესყიდვის პროცედურების შესახებ განმარტებების მისაღებად მიმართეთ საკონკურსო აპარატს:

ციცინო ბერიძე ტელ: (+995 599) 05 14 57, ელ. ფოსტა: shesyidvebiqobuleti@gmail.com

არქიტექტრულ საკითხებთან დაკავშირებით: ნათია ბასიაშვილი ტელ: (+9995 599) 85 63 82, მის: ქ. ქობულეთი, დავით აღმაშენებლის გამზ. №141.

<u>ტექნიკური დოკუმენტაცია</u>

2.1 შესყიდვის ობიექტი

2.1.1 შესყიდვის ობიექტს წარმოადგენს ქალაქ ქობულეთში, დ. აღმაშენებლის N279-ში მდებარე (ს/კ 20.42.01.258), ცენტრალური პარკის მოდერნიზაციის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შესყიდვა (1 ეტაპი - კონცეფცია (კონკურსი); მე-2 ეტაპი - გამარჯვებული კონკურსანტის მიერ კონცეფციის შესაბამისად საპროექტო-სახარჯთააღრიცხვო დოკუმენტაციის დამუშავება).

2.2 შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულებაა: --------- (----------) ლარი დღგ-ს გარეშე.

2.3 კონკურსანტის მიერ საკონკურსო განაცხადის შესაბამისად წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და საკვალიფიკაციო მონაცემების შეფასების კრიტერიუმები:

2.3.1 ხარისხის ჯამური შეფასების ხვედრითი წონა - 80%;

2.3.2 საკონკურსო წინადადების ფასის ხვედრითი წონა - 20%.

2.4 საუკეთესო საკონკურსო წინადადების გამოვლენისათვის დადგენილი ხარისხის შეფასების კრიტერიუმები და მათი ხვედრითი წონები:

N	შეფასების კრიტერიუმი	პრიორიტეტულობის კოეფიციენტი	შენიშვნა
1	**ტერიტორიის განვითარების ხედვა და ესკიზური პროექტი** (განმარტებითი ბარათი ტექსტური ფორმით, საპროექტო ტერიტორიის ვიზუალიზაცია, გენ-გეგმა შესაბამისი ზონირებებით).	0,8	არათვლადი კრიტერიუმი, სადაც უპირატესობა ენიჭება საკონკურსო კომისიის წევრების მიერ მინიჭებული ქულების მაღალ საშუალო არითმეტიკულ მაჩვენებელს
2	**პრეტენდენტის პოტენციალი** პრეტენდენტის მიერ შესრულებული ანალოგიური პროექტების კვალიფიციურობა, სირთულე, მასშტაბი და მისი რელევანტურობა საკონკურსო პროექტთან მიმართებით.	0,2	არათვლადი კრიტერიუმი, სადაც უპირატესობა ენიჭება საკონკურსო კომისიის წევრების მიერ მინიჭებული ქულების მაღალ საშუალო არითმეტიკულ მაჩვენებელს

შენიშვნა:

- *კრიტერიუმების შეფასებისას კომისიის ყოველი წევრი ცალ–ცალკე აფასებს კრიტერიუმს 0-10 ქულიან დიაპაზონში, ხოლო საბოლოო შეფასება განისაზღვრება კომისიის წევრების მიერ მინიჭებული ქულების საშუალო არითმეტიკული მაჩვენებლით.*
- *პრეტენდენტის პოტენციალის შეფასებისას შეფასდება პროექტები არა რაოდენობის მიხედვით, არამედ მათი კვალიფიციური შესრულების, სირთულის, მასშტაბისა და საკონკურსო პროექტთან მიმართებით მათი რელევანტურობის მიხედვით.*
- *სადემონსტრაციო მასალა შეფასდება იმის მიხედვით, თუ რამდენად რაციონალურად არის დაგეგმარებული საპროექტო ტერიტორია, რამდენად მისაღებია ვიზუალურად და რამდენად ეფექტური არქიტექტურული გადაწყვეტილებებია გამოყენებული.*

2.5 მომსახურების გაწევის ვადა:

ცენტრალური პარკის მოდერნიზაციის კონკურსში გამარჯვებული კონცეფციის შესაბამისად დოკუმენტაციის შემუშავება (მიწოდება) მიმწოდებელმა უნდა განახორციელოს არაუმეტეს 120 (ას ოცი) კალენდარული დღის განმავლობაში, ხელშეკრულების გაფორმების დღიდან.

2.7. პრეტენდენტის მიერ სისტემაში ასატვირთი დოკუმენტაცია:

2.7.1 შესყიდვის ობიექტის კონცეფცია: განმარტებითი ბარათი, განვითარების ხედვა (კონცეფცია) შესაბამისი ვიზუალიზაციით.

2.7.2 ინფორმაცია პრეტენდენტის მიერ განხორციელებული ანალოგიური (სკვერი, პარკი, ბულვარი, განაშენიანებული ტერიტორია) პროექტების შესახებ. პრეტენდენტმა უნდა წარმოადგინოს არანაკლებ 2 შესრულებული პროექტი, მათ შორის ერთ-ერთის სახელშეკრულებო ღირებულება უნდა იყოს არანაკლებ 50 000 (ორმოცდაათი ათასი) ლარი. გამოცდილების დასადასტურებლად პრეტენდენტმა უნდა წარმოადგინოს მომსახურების გაწევაზე გაფორმებული ხელშეკრულებები და ამ ხელშეკრულებ(ებ)ის შესრულების დამადასტურებელი დოკუმენტაცია (მიღება- ჩაბარების აქტი ან/და ანგარიშფაქტურა ან/და გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი (საგადახდო დავალება/მოთხოვნა) და შესაბამისი ობიექტის არქიტექტურული პროექტი (ნახაზები, შესრულებული პროექტის ვიზუალიზაცია ა.შ.).

2.7.3 ინფორმაცია პერსონალის შესახებ - პრეტენდენტს უნდა ჰყავდეს - არანაკლებ 2 არქიტექტორი, მათ შორის 1 ლანდშაპტის არქიტექტორი, არანაკლებ 1 კონსტრუქტორი, არანაკლებ 1 გეოლოგი; რომლებსაც გააჩნიათ ანალოგიური/მსგავსი მომსახურების გაწევის ან/და თავიანთი სპეციალიზაციის მიხედვით შესაბამისი პროექტების შედგენის გამოცდილება. პერსონალის გამოცდილების დასადასტურებლად წარმოდგენილი უნდა იყოს თითოეული მათგანის რეზიუმე - ე.წ. CV, სადაც მოცემული იქნება ინფორმაცია პერსონალის გამოცდილების შესახებ (პერსონალის გამოცდილების შესახებ მითითებული უნდა იყოს არამხოლოდ სამუშაო ადგილის ან პროექტის და თანამდებობის დასახელება, არამედ ამ პერსონალის მიერ გაწეული სამუშაოს/მომსახურების მოკლე აღწერა), ასევე შესაბამისი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტაცია (დიპლომი ან სხვა განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი). პრეტენდენტმა უნდა წარმოადგინოს, როგორც პერსონალის კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტაცია, ასევე პერსონალთან შრომითი უერთიერთობის ამსახველი დოკუმენტაცია (შრომითი ხელშეკრულება/დანიშვნის ბრძანება ან/და სხვა დოკუმენტაცია, რომელიც დაადასტურებს პერსონალთან შრომით ურთიერთობას).

ტექნიკური დავალება

შესყიდვის ობიექტს წარმოადგენს ქალაქ ქობულეთში, დ. აღმაშენებლის N279-ში მდებარე (ს/კ 20.42.01.258), ცენტრალური პარკის მოდერნიზაციის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შეძენა (1-ლი ეტაპი - კონცეფცია (კონკურსი); მე-2 ეტაპი - გამარჯვებული კონკურსანტის მიერ კონცეფციის დაზუსტება; მე-3 ეტაპი - დაზუსტებული კონცეფციის შესაბამისად საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის დამუშავება).

შესავალი:

საპროექტო ტერიტორია წარმოადგენს ქ. ქობულეთის ცენტრალურ პარკს, რომელსაც გააჩნია დიდი ტურისტული პოტენციალი. მოძველებულია ინფრასტრუქტურა და საჭიროებს განახლებას. ტერიტორია გამოირჩევა მიმზიდველი ბუნებრივი ლანდშაფტითა და მდებარეობით, რაც მაქსიმალურად უნდა გამოიყენოს კონკურსში გამარჯვებულმა პრეტენდენტმა დაპროექტებისას. ცენტრალური პარკის სამხრეთი ტერიტორია აუთვისებელია, არ არის შესაბამისი ინფრასტრუქტურა მოწყობილი და საჭიროებს დაგეგმვას.

საპროექტო ტერიტორია უნდა განვითარდეს, როგორც ერთ კონცეფციაში მოქცეული ტურისტული ატრაქცია, სხვადასხვა ფუნქციური დანიშნულების მქონე ლოკაციებით.

პროექტი უნდა მოიცავდეს, როგორც არსებული ინფრასტრუქტურის განახლებას, ასევე ახალი ხედვის განვითარებას.

პროექტის განხორციელებისათვის გამოყენებული ყველა მასალა უნდა აკმაყოფილებდეს ტექნიკურად დადგენილ ნორმებსა და უსაფრთხოების წესებს, ასევე საქართველოს მთავრობის ტექნიკური რეგლამენტის - „მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტების“ დამტკიცების თაობაზე 2020 წლის 04 დეკემბრის N732 დადგენილებას. ასევე უნდა იყოს თანხვედრაში არსებულ კლიმატურ პირობებთან. ამასთან, კლიმატური პირობები, გათვალისწინებული უნდა იყოს დაპროექტებისა და მშენებლობის დროსაც.

პროექტის განხორციელების დროს მაქსიმალურად უნდა შენარჩუნდეს არსებული ნარგავები და ხე-მცენარეები.

პროექტირებისას, ძირითადი დეტალები უნდა შეთანხმდეს შემსყიდველთან და გათვალისწინებული უნდა იქნეს შემსყიდველის რეკომენდაციები.

პროექტის ავტორი ვალდებულია სამშენებლო სამუშაოების მიმდინარეობისას საავტორო ზედამხედველობის გაწევა უზრუნველყოს დამატებითი ანაზღაურების გარეშე.

ძირითადი მოთხოვნა:

ძირითადად განსახორციელებელი სამუშაოების ჩამონათვალი:

1. სასეირნო ბილიკების რეაბილიტაცია და ახალი ბილიკების მოწყობა;
2. არსებული ღობის (აღმაშენებლის გამზირიდან) რეაბილიტაცია ან/და ახალი ღობის მოწყობა;
3. ტერიტორიის გამწვანება (მათ შორის ხე-მცენარეების დარგვა);
4. გედების ტბის აღდგენა/რეაბილიტაცია;
5. ცენტრალური შადრევანის რეაბილიტაცია;
6. თევზების აუზის აღდგენა/რეაბილიტაცია;
7. მხატვრის სახლის რეაბილიტაცია;
8. არსებული ამფითეატრის რეაბილიტაცია;
9. თემატური სკვერების მოწყობა ლოკალურად;
10. დასასვენებელი სივრცეების მოწყობა;
11. სპორტული სივრცეების მოწყობა, მათ შორის ჩოგბურთის მოედანი, მცირე ტიპის სკეიტ-პარკი;
12. ბავშვთა სათამაშო სივრცეების მოწყობა;
13. საპარკე სკამებისა და ურნების მოწყობა;
14. ტერიტორიის განათების მოწყობა;
15. საპარკე სკულპტურების მოწყობა;
16. არსებული შენობა-ნაგებობების ინვენტარიზაცია და მათი განვითარების დაგეგმვა, შემსყიდველთან შეთანხმებით;
17. საიჯარო ადგილების მონიშვნა და ტიპიური საიჯარო ობიექტების ვიზუალიზაცია;
18. ტერიტორიაზე საინჟინრო-საკომუნიკაციო ინფრასტრუქტურის მოწყობა და მოწესრიგება;

<u>პირველი ეტაპზე (კონკურსი) კონკურსანტმა უნდა წარმოადგინოს:</u>

1. საპროექტო ტერიტორიაზე ცენტრალური პარკის განვითარების კონცეფცია, შესაბამისი ვიზუალიზაციით. განმარტებითი ბარათი, სადაც დეტალურად და გასაგებად იქნება აღწერილი განვითარების ხედვა.

<u>ეტაპი მეორე - გამარჯვებული კონკურსანტის მიერ საპროექტო ტერიტორიის განვითარების ხედვის (კონცეფცია) დაზუსტება, შემსყიდველთან შეთანხმებით.</u>

მიმწოდებელმა ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 70 კალენდარული დღის ვადაში უნდა წარმოადგინოს პირველადი დოკუმენტაცია, კონცეფციის საბოლოოდ დაზუსტებით მიზნით.

შესასრულებელი სამუშაოები:

- ტოპოგრაფიული სამუშაოები. მათ შორის არსებული ხე-მცენარეების დატანით;

- ტერიტორიის გეოლოგიური კვლევა - გეოლოგიური ექსპერტიზა;
- ინფორმაცია არსებული კომუნიკაციების შესახებ;
- არსებული სიტუაციის ამსახველი ფოტომასალა;
- პროექტის ტექნიკური და ეკონომიკური დასაბუთება, ყველა შესაძლო ალტერნატივის მიმოხილვის ჩათვლით, პრობლემებისა და რისკების ანალიზი, პროექტის პარამეტრებისა და მასშტაბების (მათ შორის ფინანსური მასშტაბების), განხორციელების სავარაუდო მეთოდისა და გრაფიკის განსაზღვრით.
- პროექტის არქიტექტურული გადაწყვეტები.

შენიშვნა: *კონკურსის ეტაპზე პრეტენდენტის მიერ შემოთავაზებული სანაპირო ზოლის განვითარების ხედვის (კონცეფცია) რიგი გადაწყვეტები შესაძლებელია შეიცვალოს/დაკორექტირდეს დაპროექტების დროს, შემსყიდველთან შეთანხმებით.*

<u>ეტაპი მესამე - გამარჯვებული კონკურსანტის მიერ, შემსყიდველთან შეთანხმებით დაზუსტებული განვითარების ხედვის (კონცეფცია) მიხედვით, საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება.</u>

მიმწოდებელმა მეორე ეტაპით გათვალისწინებული ვადის გასვლიდან არაუგვიანეს 50 კალენდარული დღის ვადაში უნდა წარმოადგინოს დამუშავებული საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია.

წარმოსადგენი დოკუმენტაცია:

- განმარტებითი ბარათი;
- მშენებლობის ორგანიზების პროექტი;
- არსებული სიტუაციის ამსახველი ფოტო-მასალა;
- ტოპო გადაღება;
- სიტუაციური და გენერალური გეგმები (მ 1:500; 1:1000)
- არქიტექტურული სამუშაო ნახაზები (გეგმები, ჭრილები, ფასადები, დეტალები, კვანძები (მ 1:100, 1:50, 1:25)
- ტერიტორიის ვერტიკალური დაგეგმარება
- მოსაპირკეთებელი, კეთილმოწყობის სამუშაოები უწყისები, ტერიტორიის კეთილმოწყობის, გამოსაყენებელი მასალების სრული სპეციფიკაციები;
- კონსტრუქციული სამუშაო ნახაზები (სქემები, დეტალები, კვანძები, სპეციფიკაციები (მ 1:100, 1:50, 1:25);
- საინჟინრო ნაწილი - ელ. ქსელი, კანალიზაცია, წყალმომარაგება, სანიაღვრე, (სქემები, დეტალები, კვანძები, სპეციფიკაციები);

- დენდროლოგიური პროექტი;
- სამუშაოთა წარმოების ორგანიზაციის პროექტი, საჭირო მანქანა-დანადგარების ჩამონათვალი, სამუშაოების ჩატარების კალენდარული გრაფიკი;
- ჩასატარებელი სამუშაოების მოცულობების უწყისები და ხარჯთაღრიცხვა - რესურსული და გამსხვილებული ვერსიები;
- სატენდერო დოკუმენტაციის დეტალური და ზოგადი სპეციფიკაციები;
- არქიტექტურული პროექტი 3D განზომილებაში, შესაბამისი არანაკლებ 2 წუთიანი ვიდეო რგოლით.

არქიტექტურულ პროექტს უნდა ჩაუტარდეს სრული საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო ექსპერტიზა, მოქმედ კანონმდებლობასთან და ნორმებთან შესაბამისობით.

ექსპერტიზის განმახორციელებელი ორგანო უნდა იყოს სსიპ-ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო ან სხვა აკრედიტებული პირი. ერთმნიშვნელოვნად დადებითი საექსპერტო დასკვნა წარმოდგენილ უნდა იქნას შესრულებულ სამუშაოებთან ერთად. იმ შემთხვევაში, თუ დასკვნის გამცემი ორგანო არ იქნება სსიპ-ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო, პრეტენდენტმა დამატებით უნდა წარმოადგინოს ექსპერტიზის განმახორციელებელი ორგანოს/პირის შესაბამისი აკრედიტაციის სერთიფიკატი.

დამატებითი მოთხოვნა:

- იმ შემთხვევაში, თუ სამუშაოების შესრულების პროცესში აღმოჩნდება საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციით გაუთვალისწინებელი დამატებითი სამუშაოების შესრულების აუცილებლობა, ამ დამატებითი საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა განხორციელდება ანაზღაურების გარეშე. პროექტირების პერიოდში საპროექტო დავალებით გაუთვალისწინებელი სამუშაოების დაპროექტების საკითხი წერილობით თანხმდება შემსყიდველთან.
- დოკუმენტაცია წარმოდგენილი უნდა იყოს ქართულად, 5 ეგზემპლარად და ელექტრონული (PDF) ვერსიით. ამასთანავე თითოეული ფაილის ოდენობა ზომით არ უნდა აღემატებოდეს 20 მეგაბაიტს. წარმოდგენილი დოკუმენტაციის სისწორეზე კანონმდებლობის შესაბამისად პასუხს აგებს შემსრულებელი და უზუსტობის შემთხვევაში მიმწოდებლის დოკუმენტაციაში შესწორება მოხდება ანაზღაურების გარეშე.
- ხარჯთაღრიცხვა წარმოდგენილი უნდა იყოს აგრეთვე ელექტრონულად Excel-ის ფორმატით. შრიფტი უნდა იყოს “Sylfaen”-ი. ამასთანავე ხარჯთაღრიცხვის ფაილის ოდენობა ზომით არ უნდა აღემატებოდეს 20 მეგაბაიტს.
- საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია უნდა დამუშავდეს საქართველოში მოქმედი ნორმატიული აქტების, სამშენებლო ნორმებისა და წესების, რეგლამენტებისა და სტანდარტების სრული დაცვით.

<u>სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების პროექტი</u>

ხელშეკრულების პირობების საბოლოო ვარიანტი შეიძლება დაზუსტდეს და დაიხვეწოს ტენდერში

გამარჯვებულ პრეტენდენტთან ხელშეკრულების გაფორმების პროცესში.

<u>სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების პროექტი</u>

ხელშეკრულება
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ #

ქ. ქობულეთი „——“ „————“ 2021 წელი

ერთის მხრივ, ქობულეთის მუნიციპალიტეტი (შემდგომში „შემსყიდველი“), წარმოდგენილი ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერის მირიან ქათამაძის სახით და მეორეს მხრივ შპს „_____“ (შემდგომში „მიმწოდებელი“), წარმოდგენილი მისი დირექტორის _____ სახით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე–10² მუხლის საფუძველზე, CNT_____ კონკურსის ჩატარების შედეგად, დებენ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1.ხელშეკრულებაში გამოყენებული ტერმინების განმარტებები

1.1 “ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ” (შემდგომ _ “ხელშეკრულება”) _შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება მასზე თანდართული ყველა დოკუმენტითა და დამატებებით, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ;
1.2 “ხელშეკრულების ღირებულება”-ხელშეკრულების ჯამური ღირებულება, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის;
1.3 “შემსყიდველი" (შემდგომ “შემსყიდველი”) - შესყიდვის განმახორციელებელი პირი, რომლის სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში რეგისტრაცია ხორციელდება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ კანონით განსაზღვრული უფლებამოსილი ორგანოს თავმჯდომარის მიერ დამტკიცებული კანონქვემდებარე ნორმატიული აქტით დადგენილი წესის შესაბამისად;
1.4 “მიმწოდებელი” – პირი, რომელმაც შემსყიდველ ორგანიზაციასთან დადო ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ;
1.5 “დღე”, “კვირა”, “თვე” ნიშნავს კალენდარულ დღეს, კვირას, თვეს.
1.6. ,,მომსახურება“-ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი;
1.7. ,,ტექნიკური დავალება“-შემსყიდველის მიერ საკონკურსო დოკუმენტაციით განსაზღვრული ,,ტექნიკური დავალება“, რომელიც თან ერთვის ხელშეკრულებას და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.

2. ხელშეკრულების საგანი და ღირებულება

2.1. ხელშეკრულების საგანი---------- (CPV კოდი- ----------).

2.2. ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს ---------- ლარს.

2.3. ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობებით გაწევასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის ყველა სავარაუდო ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა გადასახადს, რომელთა გადახდაზეც პასუხისმგებელია მიმწოდებელი.

3. მომსახურების გაწევის პირობები

3.1 მიმწოდებელი ვალდებულია ხელშეკრულებითა და ტექნიკური დავალებით გათვალისწინებული მომსახურება შეასრულოს ხელშეკრულების დადების დღიდან არაუგვიანეს ---------- კალენდარული დღის ვადაში;
3.2 საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მიწოდება უნდა განხორციელდეს შემდეგ

მისამართზე: ქ. ქობულეთის დავით აღმაშენებლის გამზირი N141;

4. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

4.1. მომსახურება ჩაითვლება მიწოდებულად მხოლოდ ფაქტობრივად მიწოდებული მომსახურების დასახელებისა და ღირებულების მითითებით შედგენილი მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ;
4.2. მომსახურების საბოლოო ან/და შუალედურ მიღება-ჩაბარებას ახორციელებენ სათანადოდ უფლებამოსილი პირები;
4.3. შემსყიდველის მხრიდან მომსახურების მიღება-ჩაბარებაზე უფლებამოსილი წარმომადგენლები არიან ხელშეკრულების შესრულების კონტროლის (ინსპექტირების) განმახორციელებელი პირები;

5. ანგარიშსწორების ფორმა, წესი და ვადები

5.1 ანგარიშსწორება მიმწოდებელთან ხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების წესით, ფაქტიურად გაწეული მომსახურების მიხედვით, ,,მიმწოდებლის" მიერ მითითებულ საბანკო ანგარიშზე.
5.2 ანგარიშსწორების საფუძველია მხარეების უფლებამოსილი პირების მიერ გაფორმებული მიღება–ჩაბარების აქტი და საგადასახადო დოკუმენტის (საჭიროების შემთხვევაში) წარმოდგენა.
5.3 ,,მიმწოდებელთან" ანგარიშსწორება განხორციელდება 5.2 პუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტების წარმოდგენიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.
5.4 საავანსო ანგარიშსწორება არ გამოიყენება.

6. გარანტია

6.1. მიმწოდებელი გაწეულ მომსახურებაზე იძლევა გაწეული მომსახურების საერთაშორისო სტანდარტებისადმი შესაბამისობის გარანტიას.

6.2. მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით განსაზღვრული მომსახურების ხარისხი, სტანდარტები, ტექნიკური პარამეტრები, ძირითადი მახასიათებლები უნდა შეესაბამებოდეს ხელშეკრულებით განსაზღვრულ პირობებს და საქართველოში არსებულ წესებსა და ნორმებს.

6.3. 6.2. პუნქტში აღნიშნული პირობებიდან გადახვევის შემთხვევაში, შემსყიდველის უფლებამოცილია არ მიიღოს მომსახურება ან/და მიმწოდებლის მიმართ გამოიყენოს ამ ხელშეკრულებით და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ზომები.

6.4. მიმწოდებლი პასუხისმგებელია სრულყოფილი საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის ხარისხიანად დამუშავებასა და შედგენაზე.

6.5. იმ შემთხვევაში, თუ სამუშაოების განხორციელების დროს საჭირო გახდება პროექტში ცვლილების შეტანა ან/და აღმოჩნდება საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციით გაუთვალისწინებელი დამატებითი სამუშაოების განხორციელების აუცილებლობა, ამ დამატებითი საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის დამატებითი ანაზღაურების გარეშე შედგენა/შედგენის ხარჯებს ანაზღაურებას მიმწოდებელი იღებს თავის თავზე.

7. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

7.1 შემსყიდველს უფლება აქვს ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელოს ხელშეკრულების შესრულების კონტროლი.

7.2. ხელშეკრულების შესრულების კონტროლს ახორციელებს შემსყიდველის შესაბამისი ბრძანებით შექმნილი კონტროლის (ინსპექტირების) ჯგუფი.

7.3. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი ხორციელდება სისტემატურად. შემსყიდველის წარმომადგენელს/კონტროლის (ინსპექტირების) ჯგუფის წევრს აქვს უფლება მიმწოდებლოს მხრიდან ხელშეკრულებით გათვალისწინებული მოვალეობების შესრულებაზე კონტროლი განახორციელოს უშუალოდ შესრულების პროცესში, მისცეს შენიშვნები და/ან მითითები და მოითხოვს განმარტებები.

7.4 მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯით უზრუნველყოს კონტროლის შედეგად

გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა კონტროლის (ინსპექტირების) ჯგუფის მიერ განსაზღვრულ ვადაში.

8. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

8.1 არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება ორივე მხრის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა.
8.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.
8.3 ხელშეკრულების პირობების, მათ შორის ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.
84 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის (შეთანხმება) სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

9. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

9.1 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადების გადაცილების შემთხვევაში, ვალდებულების დამრღვევ მხარეს ეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0,1%–ს ოდენობით.
9.2 პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.
9.3. წინამდებარე ხელშეკრულების მე-10.1 მუხლის ,,ა“ და ,,გ“ პუნქტების შესაბამისად, ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში, მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების საერთო ღირებულების 1 (ერთი) პროცენტის ოდენობით.

10. ხელშეკრულების შეწყვეტა

10.1 შემსყიდველს შეუძლია მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს ხელშეკრულება, მიმწოდებლისათვის ვალდებულების შეუსრულებლობის წერილობითი შეტყობინების შემდეგ:

ა) თუ მიმწოდებელი არ ასრულებს ან/და არაჯეროვნად ასრულებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ რომელიმე ვალდებულებას;

ბ) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო ეს უკანასკნელი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

გ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

10.2. ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

10.3 ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

11. დაუძლეველი ძალა (ფორს – მაჟორი)

11.1 მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია დაუძლეველი ძალის (ფორს–მაჟორი) ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.
11.2. ამ მუხლის მიზნებისათვის ,,დაუძლეველი ძალა“ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა ან/და მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნიათ წინასწარ

გაუთვალისწინებელი ხასიათი.
11.3 თუ ერთ-ერთი მხარე დაუძლეველი ძალის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს მომდევნო სამუშაო დღისა აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებებისაგან.
11.4 მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება დაუძლეველი ძალის მოქმედების დასრულებისთანავე.

12. სადაო საკითხების გადაწყვეტა

12.1 შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმაროს, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.
12.2 თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხრეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის და მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

13. სხვა პირობები

13.1 ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ინტერპრეტირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით. წინამდებარე ხელშეკრულებით დაურეგულირებელი საკითხები წესრიგდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით.
13.2. ნემისრიერი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე, ხელშეკრულების შესაბამისად, უგზავნის მეორე მხარეს, გაიგზავნება წერილის ან/და ელექტრონული წერილის სახით, ხელშეკრულებაში მითითებული მხარის მისამართზე.
13.3. ხელშეკრულება და მასთან დაკავშირებული მთელი წერილობითი მოლაპარაკებები და სხვა დოკუმენტაცია, რომელიც გაიცვლება მხარეთა შორის შესრულდება ქართულ ენაზე.
13.4 ხელშეკრულება შედგენილია და დამოწმებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერით/შტამპით, რაც წარმოადგენს ხელშეკრულების ორიგინალს და ინახება მხარეებთან.

14. ხელშეკრულების ვადა

12.1 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეების მიერ ხელშეკრულების ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს _____.

15. „შემსყიდველი“–ს მისამართი და რეკვიზიტები

15.1 „შემსყიდველი“–ს მისამართი: ქ. ქობულეთი, დავით აღმაშენებლის გამზირი #141; ელ-ფოსტა: **kobuletimunicipality@gmail.com**
15.2 „შემსყიდველი“–ს საიდენტიფიკაციო კოდი **247001890;**
15.3 „შემსყიდველი“ – ქობულეთის მუნიციპალიტეტი.

16. „მიმწოდებელი“–ს მისამართი და რეკვიზიტები

16.1 „მიმწოდებელი“–ს მისამართი: _____; ელ-ფოსტა:----------.
16.2 „მიმწოდებელი“–ს საბანკო რეკვიზიტები: სს „_____“, ბანკის კოდი _____, ა/ა _____,
16.3 ,,მიმწოდებლის“ საიდენტიფიკაციო კოდი _____;
16.4 „მიმწოდებელი“ – „_____“